ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11691/01
27/11/2019

11691-01-2-201911271418

შპს „LION"-ს
მის: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. N27ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 6 ნოემბრის №15915 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში „ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას."

გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიერ 2008 წლის 23 დეკემბერს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" ნავთობპროდუქტების ბაზაზე გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N00152 (N44 22.12.2008 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე). 2015 წლის 4 თებერვალს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ" სამინისტროში წარმოადგინა განცხადება, არსებული ნებართვის შპს „ციტადელზე" გადაცემის შესახებ. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, ამავე წლის 6 თებერვალს გამოიცა მინისტრის N76 ბრძანება სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ციტადელზე" გადაცემის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროში არსებული ინფორმაციით აღნიშნული ნებართვის მქონე კომპანიას წარმოადგენს შპს „ციტადელი" და შპს „LION''-ზე ნებართვის გადაცემა კანონით დადგენილი წესით არ მომხდარა.

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. შესაბამისად, იმისათვის რომ საქმიანობის განმახორციელებელმა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად წარმოადგინოს სკრინინგის განცხადება საჭიროა აღნიშნულ საქმიანობაზე გაცემული იყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ამასთან გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, (ამ

შემთხვევაში შპს „ციტადელი“) ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირისთვის გადაცემა რეგულირდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის არსს, განსაზღვრულ პირობებს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა გულისხმობს როგორც უფლებების, ისე შესაბამისი მოვალეობების გადაცემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება.

სამინისტრო თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „LION”-ის მიერ გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე